ტელევიზიების საინფორმაციო პოლიტიკის მონიტორინგი

კვლევის ავტორი: დავით აფრასიძე
პერიოდი: 1- 31 ოქტომბერი, 2011

შესავალი

2011 წლის აპრილის მონაცემებზე დაყრდნობით ერთმანეთს შევადარეთ ხუთი სატელევიზიო არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები გაშუქებული თემატიკის მიხედვით. კვლევა ეყრდნობოდა დაშვებას, რომ თემატური თანხვედრა უფრო მოსალოდნელი იყო, ერთი მხრივ, სამ ცენტრალურ არხს (საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი) და, მეორე მხრივ, კავკასიასა და მაესტროს შორის.

კვლევის შედეგებით გამოჩნდა. რომ სამი არხის (საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი) წამყვანი საინფორმაციო სამსახურების მიერ გაშუქებულ თემებში უფრო მეტი იყო საერთო თემები, ვიდრე კავკასიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის წყვილის, ან თუნდაც კავკასიისა და მაესტროს წყვილის შემთხვევაში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ გასაანალიზებელი პერიოდის განმავლობაში რამდენიმე შემთხვევაში დამთხვევა 50 პროცენტსაც კი აღემატებოდა, დამთხვევების საშუალო მაჩვენებელი სამი ნაციონალური არხის შემთხვევაში 33 პროცენტს არ აჭარბებდა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მაესტროსა და კავკასიის საინფორმაციო გამოშვებები კიდევ უფრო განსხვავებული იყო ერთმანეთისაგან და, ცალკეული შემთხვევების გარდა, დამთხვევა 26 პროცენტს არ აღემატებოდა.

მოგვიანებით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ანალოგიური მეთოდოლოგიით შედარება გაგვემეორებინა 2011 წლის ოქტომბრის მონაცემებზე დაყრდნობით. საინტერესოა, რომ განსხვავებით 2011 წლის აპრილისაგან, როცა არ მიმდინარეობდა პოლიტიკურად თუ სხვაგვარად მნიშვნელოვანი ისეთი მოვლენები, რაც გაზომვის შედეგებზე მოახდენდა გავლენას, 2011 წლის ოქტომბერში მოვლენების ცენტრში მოექცა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკურ არენაზე. ასევე, საქართველოში ვიზიტად იმყოფებოდა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. ამდენად, საინტერესოა, ვნახოთ, იქონია თუ არა ამ მოვლენებმა რაიმე გავლენა სატელევიზიო არხების მიერ გაშუქებულ თემებზე.

პირველი ანალიზის მსგავსად, კვლევა არ ისახავს მიზნად, ახსნას აღმოჩენილი მსგავსებები და/ან განსხვავებები. მიზეზების დადგენა უფრო სიღრმისეულ კვლევას

მოითხოვს. ამგვარი კვლევის დროს უნდა გაანალიზდეს საინფორმაციო საშუალებების მიერ არა მხოლოდ ამა თუ იმ თემის გაშუქება-არგაშუქების ფაქტი, არამედ გაშუქების თვისებრივი ასპექტებიც.

კვლევის მეთოდოლოგია

2011 წლის 1-დან 31 ოქტომბრის ჩათვლით დაკვირვება მოხდა ხუთი სატელევიზიო არხის (საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, კავკასია, მაესტრო) მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე (საზოგადოებრივი მაუწყებლის მოამბე 20:00, იმედის ქრონიკა 20:00, კავკასიის დღეს 20:30, რუსთავი 2-ის კურიერი 21:00, მაესტროს ახალი ამბები 21:00).

არხების საინფორმაციო გამოშვებების შედარებები მოხდა თემატური ბადეების მიხედვით. ამასთან, შედარებების დროს, გამოტოვებულია შაბათ-კვირა, რადგან ამ დღეების საინფორმაციო ფორმატი სხვადასხვა ტელევიზიებში არაა თანაზომადი და არ იძლევა სისტემური შედარების საშუალებას. ასევე, რუსთავი 2-ის, იმედისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯგუფის შემთხვევაში გამოტოვებულია 4 ოქტომბერი (სამშაბათი) ინფორმაციის ხარვეზის გამო. იმავე მიზეზით, გამოტოვებულია 3, 6 და 13 ოქტომბერი (შესაბამისად ორშაბათი, ხუთშაბათი და ხუთშაბათი) კავკასიისა და მაესტროს, ასევე კავკასიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის წყვილების შემთხვევაში. ასევე, კავკასიისა და მაესტროს საინფორმაციო გამოშვებების შედარების დროს გამოტოვებულია 7 და 28 ოქტომბერი, ხოლო რუსთავი 2-ის, იმედისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯგუფის შემთხვევაში - 7 ოქტომბერი, რადგან არხების საინფორმაციო გამოშვება ამ დღეებში ძალიან მოკლე იყო და ასევე არ იძლეოდა სისტემური შედარების საშუალებას. 7 ოქტომბერს საქართველოში იმყოფებოდა ნიკოლა სარკოზი და სატელევიზიო არხებმა საინფორმაციო გადაცემების დიდი ნაწილი ამ ვიზიტის გაშუქებას დაუთმეს.

ასევე, დათვლის დროს გამოტოვებულია ამინდი, იმავე ტელეარხის სხვა გადაცემების ანონსი საინფორმაციო გადაცემაში, სპორტი (თუ საქმე არ ეხება სპორტის სფეროში რაიმე პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ მოვლენას და გაშუქებულია მხოლოდ სპორტული მოვლენა). როცა ერთი მოვლენა გაშუქდა სხვადასხვა ფორმატში (სიუჟეტი, ჩართვა, კომენტარი და ა.შ.), ეს ჩაითვალა, როგორც ერთი თემა. თუმცა, თუ გაშუქდა ერთი თემის სხვადასხვა ასპექტი (მაგალითად, ივანიშვილის ინტერვიუ, ივანიშვილის ინტერვიუზე პოლიტიკური რეაქციები, ივანიშვილთან პოლიტიკური კონსულტაციები და ა.შ.), ეს ჩაითვალა როგორც ცალ-ცალკე თემები.

ანალიზის დროს, შედარების შედეგების გამრავალფეროვნების მიზნით, დათვლილია საინფორმაციო გადაცემიების მიერ გაშუქებული თემები უცხოეთის საკითხების ჩათვლით და ჩაუთვლელად (მხოლოდ ნაციონალური თემატიკით). ამასთან, ის თემა, რომელიც ვითარდებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ შეხება ჰქონდა საქართველოსთან, მიჩნეულია ნაციონალურ თემად.

შედარებისთვის შედგა სამი ჯგუფი: ჯგუფი I (მოამბე, კურიერი, ქრონიკა); ჯგუფი II (დღეს, ახალი ამბები) და საკონტროლო ჯგუფი III (მოამბე, დღეს). დათვლის გარდა, უფრო დეტალურად აღიწერა სამი დღის საინფორმაციო ბადეები, რათა გვენახა თუ

რა თემებს აშუქებდნენ მაუწყებლები, როცა დამთხვევები და/ან განსხვავაბები ყველაზე მეტად იყო გადახრილი საშუალო მაჩვენებლისაგან (ჯგუფების მიხედვით).

ჯგუფი I: მოამბე, კურიერი, ქრონიკა

შესასწავლ პერიოდში, ისევე როგორც 2011 წლის აპრილში, მოამბე გამოირჩეოდა ყველაზე მეტი თემის გაშუქებით, როგორც ჯგუფში, ისე მთლიანად. საშუალოდ, მოამბემ გააშუქა 17 თემა (აპრილში ეს მაჩვენებელი 20 იყო), აქედან საშუალოდ 11 თემა (აპრილში 14) მიუძღვნა ნაციონალურ მოვლენებს.



კურიერის შემთხვევაში, გაშუქებული თემების საშუალო მაჩვენებელი იყო 14 თემა მთლიანად და 11 თემა ნაციონალურ თემატიკაზე, რაც ზუსტად იმეორებს 2011 წლის აპრილის მაჩვენებლებს.



გაშუქებული თემების მიხედვით, ამ ჯგუფში მესამე ადგილზე იყო იმედის საინფორმაციო გამოშვება ქრონიკა. ქრონიკის მთავარმა საინფორმაციო გამოშვებამ საშუალოდ 13 თემა გააშუქა, აქედან 11 ნაციონალურ საკითხებს მიეძღვნა (აპრილში შესაბამისად 13 და 10).



შედარების მხრივ, საინტერესოა დავთვალოთ დამთხვევების რაოდენობა არხებზე მთავარი საინფორმაციო გადაცემების მიხედვით, ასევე გამოვიყვანოთ დამთხვევების საშუალო მაჩვენებელი (პროცენტი). საშუალო მაჩვენებელი გამოითვლება სამივე არხის მიერ გაშუქებული თემების ხვედრითი წილით ამა თუ იმ არხის მიერ გაშუქებულ თემებში.



აღნიშნული გრაფიკზე იკვეთება, რომ გადაფარვების დინამიკა (ანუ როდის არის დამთხვევა დიდი და მცირე) მეტნაკლებად მსგავსია სამივე არხზე. შესაბამისი ანალიზის შემთხვევაში კი ჩანს, რომ კორელაცია უფრო მეტია კურიერისა და ქრონიკის შემთხვევაში. მაჩვენებლები ამ მხრივ არ განსხვავდება 2011 წლის აპრილის მაჩვენებლებისაგან.



დამთხვევების მაჩვენებელი აჩვენებს, რომ, ზოგადად, მოამბის მიერ გაშუქებული ყველა თემის საშუალოდ 27 პროცენტი იყო გაშუქებული სხვა ტელევიზიების მიერ. ეს მაჩვენებელი 35 პროცენტამდე იზრდება თუ საქმე მხოლოდ ნაციონალურ თემატიკას ეხება. მაჩვენებლები იზრდება კურიერისა და ქრონიკის შემთხვევაში ორივე არხთან მიმართებაში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 33 და 37 პროცენტი (მთლიანი თემატიკა) და 37 და 35 პროცენტია (ნაციონალური თემატიკა).

საინტერესოა, რომ აპრილთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია დამთხვევების პროცენტული მაჩვენებელი. მოამბის შემთხვევაში, მთლიან თემატიკაში დამთხვევები გაიზარდა 20-დან 27 პროცენტამდე, ხოლო ნაციონალურ თემატიკაში 23-დან 35 პროცენტამდე. კურიერისა შემთხვევაში - 30-დან 33-მდე (მთლიანი თემატიკა) და 33-დან 37-მდე (ნაციონალური თემატიკა) და ქრონიკის შემთხვევაში - 30-დან 37 პროცენტამდე და 33-დან 35 პროცენტამდე.

საგულისხმოა, რომ დამთხვევების მაჩვენებელი უფრო დიდია ნაციონალურ თემატიკასთან მიმართებით. ერთადერთი არხი, რომელსაც დამთხვევები ნაციონალურ თემატიკაში ნაკლები აქვს საერთოსთან მიმართებაში არის იმედი.

ჯგუფი II: ახალი ამბები, დღეს

შესასწავლ პერიოდში და შესასწავლ ჯგუფში "ახალი ამბები" გამოირჩეოდა უფრო მეტი თემის გაშუქებით. საშუალოდ, მაესტროს მთავარმა საინფორმაციო გამოშვებამ გააშუქა 13 თემა (აპრილში საშუალოდ 14 თემა), აქედან საშუალოდ 11 თემა (აპრილშიც იგივე რაოდენობა) მიუძღვნა ნაციონალურ მოვლენებს.



”დღეს” შემთხვევაში, გაშუქებული თემების საშუალო მაჩვენებელი იყო 10 თემა მთლიანად (აპრილში საშუალოდ 11) და იგივე რაოდენობა თემა ნაციონალურ თემატიკაზე. ზოგადად, მაესტრო და კავკასია შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ უცხოეთის თემებს.



შედარების მხრივ, ამ ჯგუფშიც საინტერესოა დავთვალოთ დამთხვევების რაოდენობა არხებზე დღეების მიხედვით და ასევე, გამოვიყვანოთ დაფარვების საშუალო მაჩვენებელი. საშუალო მაჩვენებელი გამოითვლება ორივე არხის მიერ გაშუქებული თემების ხვედრითი წილით ერთ-ერთი არხის მიერ გაშუქებულ თემებში.



ზედა გრაფიკზე (ისევე როგორც პირველი ჯგუფის შემთხვევაში) იკვეთება, რომ მსგავსი თემების დინამიკა (ანუ როდის არის დამთხვევა დიდი და როდის მცირე) მეტნაკლებად მსგავსია.

პირველი ჯგუფის მსგავსად, ზრდაა პროცენტული დამთხვევების მაჩვენებლებში არხების მიხედვით. 2011 წლის ოქტომბერში "დღეს" მიერ გაშუქებული ყველა თემის საშუალოდ 32 პროცენტი იყო გაშუქებული "ახალი ამბების" მიერ მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 26 პროცენტი იყო 2011 წლის აპრილში. ნაციონალურ თემატიკასთან მიმართებაში მაჩვენებელი 31 პროცენტია (25 პროცენტი აპრილში). "ახალი ამბების" მიერ გაშუქებული თემების საშუალოდ 26 პროცენტი გაშუქებული იყო "დღეს" მიერ. ეს მაჩვენებელი ოდნავ იზრდება ნაციონალური თემატიკის შემთხვევაში (27 პროცენტი). აპრილში "ახალი ამბების" დამთხვევის მაჩვენებელი იყო 21 და 24 პროცენტი შესაბამისად.



ჯგუფი 3: მოამბე, დღეს

მესამე ჯგუფში ერთმანეთს შევადარეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვება "მოამბე" და კავკასიის საინფორმაციო გამოშვება "დღეს". აქაც, საშუალო მაჩვენებელი გამოითვალა ორივე არხის მიერ გაშუქებული თემების ხვედრითი წილით ერთ-ერთი არხის მიერ გაშუქებულ თემებში.



გრაფიკზე იკვეთება, რომ მართალია მსგავსი თემების დინამიკა (ანუ როდის არის დამთხვევა დიდი და როდის მცირე) მეტნაკლებად მსგავსია არხების მიხედვით, თუმცა დამთხვევები ზოგადად უფრო ნაკლებია, ვიდრე წინა ჯგუფების შემთხვევაში. ასევე, თუ 2011 წლის აპრილში დამთხვევების მაქსიმალური მაჩვენებელი (კავკასიის შემთხვევაში) 50 პროცენტსაც კი აღწევდა, ოქტომბერში ეს მაჩვენებელი 42 პროცენტს არ აცილებულა.

ამას უფრო ნათლად აჩვენებს დამთხვევების საშუალო კოეფიციენტი. ზოგადად, "მოამბეს" მიერ გაშუქებული ყველა თემის საშუალოდ 9 პროცენტი ასევე გაშუქებული იყო "დღეს" მიერ, ხოლო ნაციონალურ თემატიკაში ეს მაჩვენებელი 14 პროცენტს შეადგენდა (აპრილში მაჩვენებელი იყო 11 და 12 პროცენტი, ნაციონალურ და მთლიან თემატიკაში).



”დღეს” მიერ გაშუქებულ თემებში 11 პროცენტი იყო ისეთი, რომელსაც ”მოამბეც” აშუქებდა. ეს მაჩვენებლები შეადგენდა ასევე 11 პროცენტს ”დღესთვის”, როცა საქმე ნაციონალურ თემატიკას ეხებოდა. საყურადღებოა, რომ აპრილში ეს მაჩვენებელი შესაბამისად იყო 22 და 16 პროცენტი (მთლიანი და ნაციონალური), ანუ აქ სახეზეა კლება.

გაშუქებული თემების ანალიზი ცალკეული დღეების მიხედვით

ისევე როგორც აპრილის მონაცემებზე დაყრდნობით, ოქტომბრის მონაცემების დამუშავებისასაც დამატებით გაანალიზდა სამი დღე - 20 ოქტომბერი, სადაც დამთხვევებმა ყველა ჯგუფში შეადგინა მაქსიმალური მაჩვენებელი პირველსა და მეორე ჯგუფში - 50 პროცენტი, ხოლო მესამე ჯგუფში ასევე ყველაზე დიდი - 33 პროცენტი (იგულისხმება ჯგუფების საშუალო). ასევე გაანალიზდა 12 ოქტომბერი, სადაც დამთხვევა პირველ ჯგუფში იყო ყველაზე დაბალი (15 პროცენტი). იმავე დღისთვის მეორე ჯგუფის ანალოგიური მაჩვენებელი იყო 32, ხოლო მესამესთვის - 7. და ბოლოს, გაანალიზდა 25 ოქტომბერი, როცა მე-3 ჯგუფში დამთხვევა იყო 0. იმავე დღეს, პირველ ჯგუფში დამთხვევა იყო 27, ხოლო მეორე ჯგუფში - 22. ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში არაა დაცული ეთერში გასვლის თანმიმდევრობა.

12 ოქტომბერი

	გაშუქებული თემა	მოამბე	კურიერი	ქრონიკა	დღეს	ახალი ამბები
1.	ივანიშვილის მორიგი განცხადებები					
2.	ივანიშვილის მიმართვა მედიამფლობელებს					
3.	მოზარდების დაპირისპირება ვაკეში					
4.	იულია ტიმოშენკოს განაჩენი და დასავლეთი					
5.	ცხინვალში მდგომარეობა					
6.	ეკონომიკური კრიზისი ევროპაში					
7.	„ახალი მემარჯვენეების“ ახალი სტრატეგია					
8.	ალტერნატიული სასჯელის მომხდელთათვის ჯიპიესი					
9.	32-ე ბატალიონი ავღანეთში მიდის					
10.	იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბრიუსელში					
11.	სტამბოლში სტუდენტების გამოსვლა					
12.	ისრაელისა და ჰამასის შეთანხმება					
13.	ანჯელინა ჯოლი ლიბიაში					
14.	მაიკლ ჯექსონის საქმე					
15.	ტანვარჯიშის ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს					
16.	ელისო ბოლქვაძის კონცერტი თბილისში					
17.	ჭიათურაში გზა გაკეთდა					
18.	საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე					
19.	კომპანია გუდვილის წარმატება					
20.	რას შეიცავს კოფეინი					
21.	სამი მუშკეტერის ახალი ფილმის პრემიერა					
22.	კიწმარიშვილის წინადადება ივანიშვილს					
23.	ივანიშვილი ჩრდილელს ჯაშუშობაში ადანაშაულებს					
24.	ივანიშვილი და მოქალაქეობის საკითხი					
25.	არასამთავრობოები სატყეო რეფორმის წინააღმდეგ					
26.	ომკის მდგომარეობა					
27.	ბორჯღალოსნების შეხვედრა ჟურნალისტებთან					
28.	ევროპოლის ჩატარებული სპეცოპერაცია					
29.	შიდსის გავრცელების სტატისტიკა საქართველოში					
30.	თვითნებურად მიღებული ვიტამინები საზიანოა					
31.	საქართველო უკრაინულ არხ „ინტერზე“					
32.	ჰილარი კლინტონი პოლიტიკიდან მიდის					
33.	აშშ-ში საპროტესტო აქციები გრძელდება					
34.	ბრიუსელმა სერბეთს რეკომენდაცია გაუწია					
35.	ვულკანის ამოფრქვევა ესპანეთში					
36.	რუსთაველის თეატრში მუსიკის საღამო					
37.	ახალი ქართული ფილმი „მესაათე“					
38.	საარჩევნო კოდექსის ცვლილებები და დიპლომატები					
39.	ახალი მემარჯვენეების ახალი სტრატეგია					
40.	ედინაია რასია და პუტინის კანდიდატურა					
41.	ანდრია ურუშაძე პარლამენტში					
42.	ლეიბორისტების აქცია					
43.	არასამთავრობოები მინისტრებთან შეხვედრას ითხოვენ					
44.	ეკოლოგები ეროვნულ პარკებზე					
45.	მრგვალი მაგიდა რასიზმზე შერატონში					
46.	წიგნის პრეზენტაცია ფონდ ღია საზოგადოებაში					

20 ოქტომბერი

	გაშუქებული თემა	მოამზე	კურიერი	ქრონიკა	დღეს	ახალი ამბები
1.	არეულობა საბერძნეთში					
2.	ევროზონის კრიზისი					
3.	ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოს ტერიტ.					
4.	კადაფი გარდაიცვალა					
5.	კვეზერელის ნაცვლად გოროზია დანიშნა სოფ. მეურნ. მინ.					
6.	მსოფლიო ბანკის კვლევით საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით მოწინავე ქვეყანაა					
7.	2012 წელს პენსიები გაიზრდება					
8.	პირველი არხი ივანიშვილის პასუხს ელოდება.					
9.	„ეროვნულმა ბანკმა“ „ქართუ“ ბანკზე განცხადება გააკეთა					
10.	18 დიპ. მისიის წარმომადგენლები ივანიშვილს ეწვივნენ.					
11.	ჰილარი კლინტონის ვიზიტი საქართველოში.					
12.	თბილისის ზღვამ ახალგაზრდა ქალის გვამი გამორიყა.					
13.	დაკარგული 44 წლის მამაკაცი - ზურაბ ორთავაძე					
14.	პაციენტი ბათუმის სამშობიარო სახლის წინააღმდეგ.					
15.	იმიტირებული სასამართლო პროცესი ნაფიცი მსაჯულები					
16.	ტერაქტები თურქეთში					
17.	ნიკოლა სარკოზს და კარლა ბრუნს ქალიშვილი შეეძინათ.					
18.	საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი 2015 წლისთვის ემზადება.					
19.	თბილისში სპორტული კვირეული გაიხსნა.					
20.	ქართული ბალეტი ამერიკაში მიემგზავრება.					
21.	მერლინ მონროს კვირა ეკრანზე.					
22.	უილიამ ბერნსი საქართველოში					
23.	კირთაძემ ლეიბორისტები დატოვა					
24.	ლეიბორისტები მოსხალეობას შეკრებისკენ მოუწოდებენ					
25.	თავისუფალი დემოკრატები ი. ჩიქოვანის წინააღმდეგ					
26.	ადვოკატთა ასოციის პრესკონფერენცია					
27.	ე.წ. სამხ. ოსეთის ახალგორში საარჩევნო უბნები გაიხსნა					
28.	პატრიარქი სტამბოლში გაემგზავრა					
29.	უცხოელი სამართალდამცავები საქართველოში					
30.	კატია ზატულივეტერის საქმე					
31.	უნიკალური ქართული ხელნაწერები იუნესკოს სიაში					
32.	კალათბურთის ბილეთებიდან შემოსული თანხა ვეტერანი კალათბურთელების ფონდს მოხმარდება					
33.	ტრიო პეტრე					
34.	პოლონელი ტურისტი საქართველოში ჯიპით					
35.	დიდი ბრიტანეთის პრემიერი ლიბიელებს ულოცავს					
36.	ავთანდილის მოდის ჩვენება თაუერ ბრიჯზე					
37.	ხორციელდება თუ არა ზეწოლა საჩხერის მოსახლეობაზე					
38.	ალასანია გამყრელიძის წინააღმდეგ					
39.	დავით ბაქრაძე ბრიუსელში					
40.	ნაზი შამანაურის მედალი სამ ჟურნალისტს გადაეცა					

25 ოქტომბერი

	გაშუქებული თემა	მოამზე	კურიერი	ქრონიკა	დღეს	ახალი ამბები
1.	მიწისძვრა და მდგომარეობა თურქეთში					
2.	ბუნებრივი კატასტროფების რისკების რუკა					
3.	თურქეთის იერიში ერაყზე					
4.	რუსული ჯაშუშური სკანდალი გერმანიაში					
5.	ტიმიშეკოს საქმე					
6.	პურტინის საწინააღმდეგო სიმღერები და კლიპები					
7.	2012 წლის ბიუჯეტის განხილვა პარლამენტში					
8.	გაკოტრების გამარტივების წესი					
9.	საწყობის ნებართვა და ტვირთის გადასატანი პროცედურები მარტივდება					
10.	გუდაურის რეაბილიტაცია გრძელდება					
11.	საარქივო ჟურნალისა და დოკუმენტური ფილმი. პრეზენტაცია					
12.	ანაკლიის პატრიოტული ბანაკი საზეიმოდ დაიხურა					
13.	76 წლის მამაკაცი ლიფტის შახტაში ჩავარდა და დაიღუპა					
14.	მუამარ კადაფი საიდუმლოდ დაკრძალეს					
15.	სტიქია მსოფლიოში					
16.	სიცილიაზე ვულკანი ეტნა გააქტიურდა					
17.	„ვიკილიქსი“ მუშაობას წყვეტს					
18.	მოლდოვის ფუთსალის ნაკრებმა შედეგი გააპროტესტა					
19.	სკანდალი საკალათბურთო გუნდ „სოხუმის“ ირგვლივ					
20.	ვახუშტი კოტეტიშვილისადმი მიძღვნილი საღამო „ლექსო არ დაიკარგები“					
21.	ჯეიმს აპატურაი მოსკოვში					
22.	ამერიკელი სენატორის განცხადება საქართველოზე					
23.	2012 წლის ბიუჯეტის განხილვა					
24.	ჟიჟილაშვილის ინტერვიუ ივანიშვილთან					
25.	შევარდნაძე ივანიშვილზე					
26.	ტყიბულის რეაბილიტაცია					
27.	მევიოლინეების კონცერტი ბათუმში					
28.	სერტიფიცირებული მასწავლებლების ხელფასი					
29.	შემოსავლების სამსახურის ინიციატივები					
30.	დოკუმენტური ფილმების ჩვენება					
31.	არეულობა იემენში					
32.	კანარის კუნძულებზე ვულკანი					
33.	წყალდიდობა ირლანდიაში					
34.	ქართველი სუმოისტი კლუბმა დასაჯა					
35.	ჯგუფი ეგარის კონცერტი საქართველოში					
36.	ევოპის ლიდერები ბრიუსელში					
37.	ბოდი მემორი - გამოფენა ქარვასლაში					
38.	წიბახაშვილი სტუმრად					
39.	ავსტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკა					
40.	მოსკოვში ცოლ-ქმარს პედოფილიაში ადანაშაულებენ					
41.	თბილისის ზოოპარკის ახალი ბინადრები					
42.	დიმიტრი გვინდაძე პარლამენტში					
43.	ივანიშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა					
44.	მიკროავტობუსის მძღოლების გაფიცვა/ფეხზე დგომა					
45.	ახალი მემარჯვენეები 2012 წ. ბიუჯეტს აპროტესტებენ					
46.	ლეიბორისტები აქციისკენ მოუწოდებენ					
47.	საქ-ამერიკის ბიზნესკონგრესი მარიოტში					
48.	დავით ბაქარაძე შეხვდა რუმინეთის პარლ. თავ-რეს					
49.	ვაშაძე შეხვდა რუმინეთის პარლ. თავ-რეს					
50.	საქართველო ეწინააღმდეგება რუსეთის მსო-ში შესვლას					
51.	შეხვედრები ივანიშვილთან					
52.	ქართველი მეზღვაურებში ტყვეობაში					

	გაშუქებული თემა	მოამბე	კურიერი	ქრონიკა	დღეს	ახალი ამბები
53.	საპარლამენტო ხელისუფლება აღმასრულებელს იბარებს					
54.	სოფ. თელეთში მიწების დანაწილებას ელიან					
55.	პირველი ჯგუფის ინვალიდს დახმარება მოუხსნეს					
56.	ვერდიევისადმი მიძღვნილი საღამო					
57.	ხალხური პოეზიის საღამო რუსთაველის თეატრში					

სამი დღის ანალიზი აჩვენებს, რომ თემატური დამთხვევები ყველა არხს შორის ძირითადად ეხებოდა ისეთ თემებს როგორიცაა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკაში, მიწისძვრა თურქეთში, ლიბიის კრიზისი, ახალი მინისტრის დანიშვნა. ორი არხი (მაესტრო, კავკასია), ზოგადად უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის აქტივობებს, საპროტესტო აქციებსა და მიმართვებს, ხოლო სამი არხი - სამთავრობო საქმიანობასა და კრიმინალს.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ სამი არხის (საზ. მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი) წამყვანი საინფორმაციო სამსახურების მიერ გაშუქებულ თემებში უფრო მეტია საერთო თემები, ვიდრე კავკასიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის წყვილის, ან თუნდაც კავკასიისა და მაესტროს წყვილის შემთხვევაში. ასევე, საინტერესოა, რომ 2011 წლის აპრილთან შედარებით, გაიზარდა დამთხვევების წილი პირველ (საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი) და მეორე ჯგუფებს (მაესტრო, კავკასია) შიგნით, ხოლო მესამე ჯგუფის შიგნით (საზოგადოებრივი მაუწყებელი, კავკასია) - ეს მაჩვენებელი შემცირდა.